ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება–მრეწველები"

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 59916573

N 103
22/02/2018

103-07-3-201802221659

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“ სხდომის ოქმს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 20 თებერვალს.

დანართი: სხდომის ოქმი№ 3-3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,
სპარტაკ კვაჭაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი 20.02.2018 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება–მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე.
ფრაქციის წევრები: ზურაბ კუკულავა, ელისო ჭიჭინაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. კვაჭაძე/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1 264 761 ლარი. მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1 201 522 ლარს, თანადაფინანსება კი 63 239 ლარს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში უნდა მოხდეს ცვლილება რათა აისახოს ბიუჯეტში 63 239 ლარი.

თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ფრაქციის წევრების მიერ, მათი განცხადებით ეს არ არის ისეთი დიდი თანხები, რომლითაც ბიუჯეტში შეიძლება დიდი სხვაობა მივიღოთ, ფრაქციის წევრები მომხრე არიან თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს დღეს არსებული თანხებით.

თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ წარმოდგენილ საკითხს.
მომხრე 0, წინააღმდეგი 3 .

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
თავმჯდომარე: **სპარტაკ კვაჭაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20 თებერვალი **2018** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	სპარტაკ კვაჭაძე	11 30	
2	ზურაბ კუკულავა	11 35	
3	ამირან ქანთარია		
4	ელისო ჭიჭინაძე	11 40	